

**-ЩИН(А) სუფიქსის უმცველი რუსული სახელების
ქართულად გადმოცემისათვის**

რუსული **-щин(а)** სუფიქსი სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე არსებით სახელებში გვხვდება. მისგან ნაწარმოები სახელები ასახვენ უმეტესწილად საზოგადოებრივ თუ საყოფაცხოვრებო მოვლენას ან იდეურ მიმდინარეობას. ამ სახელების მნიშვნელობას **-щин(а)** სუფიქსი ჩვეულებრივ უარყოფით ელფერს ანიჭებს.

-щин(а) სუფიქსს აქვს ვარიანტი **-чин(а)**. ეს უკანასკნელი გვხვდება **д, т** ან **ч** თანხმოვნების შემდეგ, ამასთან **т** თანხმოვნის შემდეგ **-чин(а)** სუფიქსი გვხვდება მხოლოდ მაშინ, თუ **т** არ მოსდევს სონორს. წინააღმდეგ შემთხვევაში იქნება **-щин(а)** სუფიქსი. შტრ. **штурмовщина, складчина, солдатчина, მაგრამ: интеллигентщина.**

-щин(а)-ს უმცველი სახელები სემანტიკურად უკავშირდებიან უმთავრესად

1) ზედსართავებს: официальный→официальщина
уголовный→уголовщина;

2) ზედსართავებს, რომლებიც თავის მხრივ არსებითი სახელებისაგან მომდინარეობენ:

- канцелярский (←канцелярия) — канцелярщина
- театральный (←театр) — театральныйщина
- групповой (←группа) — групповщина
- кустарный (←кустарь) — кустарщина
- обывательский (←обыватель) — обывательщина
- азиатский (←Азия) — азиатчина;

3) შესიტყვებებს:

- сдельная работа→сдельщина
- татарское иго→татарщина;

4) ადამიანთა სახელებს, უმეტესწილად ლიტერატურული პერ-

სონაჟების ან ისტორიული, პოლიტიკური, სამხედრო მოღვაწეების გვარებს:

Манилов→маниловщина

Базаров→базаровщина

Деникин→деникинщина

Столыпин→столыпинщина¹.

თუ **-щин(ა)** სუფიქსის შემცველი სახელი ზედსართაული წარმოშობისაა, ამოსავალ ზედსართავს შეიძლება ჰქონდეს **-н, ов//-ев** და **-ск** სუფიქსები. **-щин(ა)//-чин(ა)**-ს დართვის შემთხვევაში **-н** და **-ск** სუფიქსები ამოვარდება (**-ов//-ев** სუფიქსი კი რჩება). მაგ.: партизанский — партизанщина, солдатский — солдатчина, кустарный — кустарщина, стихийный — стихийщина, кружковой — кружковщина, повседневный — повседневщина.

-чин(ა) სუფიქსის წინ ხდება **ц, ч** (ორთოგრაფიული **т**) თანხმოვნების ბგერათმონაცვლეობა: казацкий — казатчина. турецкий — туретчина².

-щин(ა) სუფიქსის შემცველი სახელები მათი შინაარსისა და ქართულად გადმოცემის საშუალებათა გათვალისწინებით შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დავყოთ:

1. **-щин(ა)** სუფიქსის შემცველი სახელების ერთი ჯგუფი დაკავშირებულია ადამიანთა საკუთარ სახელებთან, უმეტესად ამა თუ იმ ლიტერატურული პერსონაჟის გვართან, ზოგჯერ კი მწერლის გვართანაც. მაგ.: базаровщина, карамазовщина, каратаевщина, маниловщина, ноздревщина, обломовщина, хлестаковщина, достоевщина, толстовщина და სხვ.

-щин(ა) სუფიქსი ამ სახელებს განზოგადებულ ტიპებად წარმოგიდგენს და ამავე დროს გარკვეულ უარყოფით ნიუანსსაც ანიჭებს მათ.

რუსულ-ქართულ ლექსიკონებში გვხვდება ამ ჯგუფის სახელების როგორც გადმოქართულება — მანილოვობა, ხლესტაკოვობა³, ისე უცვლელად გადმოღება — **ობლომოვშინა**⁴.

¹ შლრ. Грамматика современного русского литературного языка, изд. «Наука», Москва, 1970, стр. 94—95.

² იქვე, გვ. 94.

³ რუსულ-ქართული ლექსიკონი (სამ ტომად), საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამოცემა, 1956—1959 წწ.

⁴ რუსულ-ქართული ლექსიკონი, ოსუ გამოცემა, 1937 წ., რუსულ-ქართული ლექსიკონი (სამ ტომად), საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამოცემა.

Толстовщина და ტოლსტოვსტო ლექსიკონებში თარგმნილია, როგორც „ტოლსტოველობა, ტოლსტოის მიმდევრობა“. ეს თარგმანი მისაღებად უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც დაახლოებით სწორად გადმოსცემს იმ რელიგიურ-ეთიკური მოძღვრების შინაარსს, რომელიც დიდმა რუსმა მწერალმა ლ. ტოლსტოიმ შექმნა და რომელსაც თავის დროზე ჰყავდა მიმდევრებიც (დაახლოებით სწორად გადმოსცემსო, ვამბობთ იმიტომ, რომ ქართულ თარგმანში სრულებით არ ჩანს ლ. ტოლსტოის ამ რელიგიურ-ეთიკური მოძღვრების შეფასების მომენტი, რაც ტოლსტოვსტო-ში შეაქვს -**щин(а)** სუფიქსს).

უფრო რთული ვითარებაა ლიტერატურული პერსონაჟების გვარების მიხედვით შექმნილი სახელების გადმოცემისას. რთულია იმიტომ, რომ ერთ სიბრტყეზე ვერ მოთავსდება (შინაარსობრივად) ტოლსტოვსტო და რომელიმე თლომოვსტო. თუ პირველს შემთხვევაში ჩვენ გვქონდა „ტოლსტოველობა“ და „ტოლსტოის მიმდევრობა“, თლომოვსტო-ს გადმოსაცემად არ გამოდგება „თლომოველობა“ ან „თლომოვის მიმდევრობა“, ვინაიდან არ არსებულა არც თლომოვეური მოძღვრება, არც თლომოვეური მოძრაობა ან მიმდინარეობა. მაშასადამე, „თლომოველობა“ და „თლომოვის მიმდევრობა“ საფუძველს მოკლებულია. ასევე უსაფუძვლოდ მიგვაჩნია „ბაზაროველობა“, „ბაზაროვის მიმდევრობა“, „კარამაზოველობა“, „კარამაზოვების მიმდევრობა“, „ნოზდრიოველობა“, „ნოზდრიოვის მიმდევრობა“ და მისთ. კიდევ როგორღაც შეიძლება „თლომოვეურობა“, „ბაზაროვეულობა“, „მანილოვეურობა“, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ უმჯობესია ამ ტიპის სახელების უცვლელად გადმოღება. ამგვარად გვექნება:

базаровщина	— ბაზაროვეშიჩინა
карамазовщина	— კარამაზოვეშიჩინა
каратаевщина	— კარატაევეშიჩინა
маниловщина	— მანილოვეშიჩინა
ноздревщина	— ნოზდრიოვეშიჩინა
обломовщина	— თლომოვეშიჩინა
хлестаковщина	— ხლესტაკოვეშიჩინა
достоевщина	— დოსტოვეშიჩინა და მისთ.

მართალია, ქართულში გვხვდება ხოლმე **-ობა** სუფიქსიანი წარმოებაც (მაგ.: ტარიელ მკლავაძეობა, დავით დროიძეობა, ლუარსაბ თათქარიძეობა... მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ სახელებში უარყოფით ნიუანსს ქმნის არა სუფიქსი **-ობა**, არამედ

თვით პერსონაჟის სახელი და გვარი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ -ობა სუფიქსს სხვა შემთხვევაში არავითარი უარყოფითი შინაარსი არ გააჩნია. შდრ. შოთაობა, ილიაობა და მისთ.

2. ამ ჯგუფებთან ახლო დგას **-щин(а)** სუფიქსით ნაწარმოები სახელები, რომლებიც აგრეთვე ადამიანთა გვარებს უკავშირდება, მაგრამ წინა ჯგუფისაგან განსხვავებით აქ საქმე გვაქვს პოლიტიკური, სახელმწიფო, სამხედრო თუ სხვა სფეროს მოღვაწეებთან. ასეთებია, მაგ.: აзёфовщина, аракчеевщина, бироновщина, богдановщина, врангелевщина, гапоновщина, деникинщина, зубатовщина, керенщина, колчаковщина, корниловщина, красновщина, махаевщина, махновщина, николаевщина, петлюровщина, столыпинщина, хованщина და მისთ.

ამ ჯგუფის სახელების უმეტესობა უკავშირდება რუსეთის ისტორიის, საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ ხანას, პერიოდს (რეაქციულს, ანტიხალხურს). მაგალითად, аракчеевщина წარმოადგენდა მმართველობის უმკაცრეს, გასამხედროებულ რეჟიმს (დაკავშირებულს გრაფ კ. არაქჩეევის სახელთან); столыпинщина იყო უსასტიკესი პოლიტიკური რეაქციის რეჟიმი, რომელიც 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ დაამყარა მეფის მთავრობის მინისტრმა პ. სტოლიპინმა. ასეთივე რეაქციული რეჟიმი დაკავშირებულია ე. ბირონის სახელთან.

ამ წრის სახელების გადმოცემაც საკმაოდ რთულია. ერთი რომელიმე შაბლონით თარგმნა ვერ მოხერხდება. ერთს შემთხვევაში, როცა საქმე ეხება გარკვეულ რეაქციულ რეჟიმებს, შეიძლება თარგმანში გამოვიყენოთ თვით ეს სიტყვა „რეჟიმი“ და ვთარგმნოთ ასე: аракчеевщина — არაქჩეევის (ან არაქჩეევული) რეჟიმი. შეუძლებლად არ გვეჩვენება არაქჩეევშინაც. ანალოგიურად გვექნება столыпинщина სტოლიპინის რეჟიმი ან სტოლიპინშინა. იგივე შეიძლება ითქვას бироновщина-ზედაც. Николаевщина ქართულადაც ნიკოლაევშინა იქნება (უკიდურეს შემთხვევაში ნიკოლოზ II-ის მეფობის პერიოდი ან ნიკოლოზ II-ის მეფობა)⁵.

ზუსტი არ იქნებოდა керенщина რომ კერენსკის მმართველობის პერიოდად ან კერენსკის რეჟიმად გვეთარგმნა. საქმე ისაა, რომ ფართო გაგებით керенщина არის წვრილბურჟუაზიული რევოლუციური ხელისუფლების პოლიტიკა, რომელიც ლალატობს მშრომელთა ინტერესებს. უმჯობესია ვიხმაროთ კერენშინა. ასე-

⁵ ყოველ შემთხვევაში ნიკოლოზობა ნაკლებ გამოსადეგად გვეჩვენება (თუმცა ასეა ნათარგმნი ვ. ი. ლენინის თხზულებათა 27-ე ტომში, იხ. გვ. 262—263).

ვე არ გამოდგება დენიკინщина-სათვის დენიკინის რეჟიმი, აქაც ჯობს დავტოვოთ დენიკინშიცა.

ასევე ძნელად სათარგმნია სიტყვები зубатовщина, гапоновщина, махновщина, петлюровщина... სიძნელეს ის ქმნის, რომ გრძელი აღწერის გარეშე შეუძლებელია იმ შინაარსის გადმოცემა, რასაც ამ ჯგუფის ესა თუ ის რუსული სახელი შეიცავს. მაგ., МАХНОВЩИНА დ. უშაკოვის რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით არის ანარქისტულ-ბანდიტური მოძრაობა უკრაინაში სამოქალაქო ომის პერიოდში, რომელსაც მეთაურობდა მახნო და რომელიც კულაკობის იდეოლოგიას გამოხატავდა. ამ შინაარსის გადმოსაცემად არ გამოდგება არც „მახნობა“, არც „მახნოს რეჟიმი“ (რეჟიმი, ალბათ, ვერც დაერქმევა ამ ანარქისტულ-ბანდიტურ მოძრაობას), არც „მახნოს მიმდევრობა“, ბევრად უკეთესი არც „მახნოს მოძრაობა“ იქნებოდა“ (სხვა რომ არა იყოს რა, „მახნოს მოძრაობა“ ზომ სრულიად ნეიტრალურია და არ შეიცავს МАХНОВЩИНА-ში ჩაქსოვილ უარყოფითს ნიუანსს)⁶. ამგვარად აქაც უთარგმნელად გადმოვლებას უნდა მიეცეს უპირატესობა — „მახნოვშიცა“.

არსებითად ამ ჯგუფთან ახლო დგანან полицейщина და гетманщина, ოღონდ ეს სიტყვები ნაწარმოებია არა საკუთარი სახელებისაგან. ქართული შესატყვისი იქნება პირველისა — პოლიციური რეჟიმი, პოლიციეშიცა, მეორისა — გეტმანშიცა.

ფორმალურად ამავე ჯგუფს მიეკუთვნება пугачевщина და разнищина, ოღონდ იმ არსებითი განსხვავებით, რომ უარყოფითი ნიუანსი ამ სახელებში გამოხატავს თვითმპყრობელობის დროინდელი გაბატონებული კლასის იდეოლოგიას, კერძოდ, გლეხთა იმ აჯანყებების კლასობრივ შეფასებას, რომლებიც ფეოდალურ-ბატონყმური უღლის წინააღმდეგ იყო მიმართული და რომელთაც

⁶ ამ ჯგუფის სახელთაგან ზოგიერთი შესულია რუსულ-ქართულ ლექსიკონებში და შემდეგნაირადაა თარგმნილი: გ. ახვლედიანისა და ს. იორდანიშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონში გვხვდება: зубатовщина ზუბატოველობა, პოლიციური სოციალიზმი, პროვოკაციული მოქმედება; махновщина მახნოვშიცა (ბანდიტური მოძრაობა უკრაინაში). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემულ რუსულ-ქართულ ლექსიკონში გვხვდება: зубатовщина ზუბატოვშიცა, პოლიციური სოციალიზმი; деникинщина დენიკინშიცა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოცემულ რუსულ-ქართულ ლექსიკონში გვაქვს: аракчеевщина არაკჩეველობა, петлюровщина პეტლიუროვშიცა.

ე. პუგაჩოვი და სტ. რაზინი მეთაურობდნენ. ეს სიტყვები ამაჟამად კვალიფიცირებულია როგორც არამეცნიერული სახელწოდება, რომლებიც ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა შექმნეს.

ამრიგად, ამ ჯგუფის სახელების თარგმანი ასეთ სახეს მიიღებს:

аракчеевщина	— არაქჩეევის რეჟიმი, არაქჩეევული რეჟიმი, არაქჩეევულობა, არაქჩეევშიჩინა
бироновщина	— ბირონოვშიჩინა, ბირონის რეჟიმი
столыпинщина	— სტოლიპინის რეჟიმი, სტოლიპინშიჩინა
полицейщина	— პოლიციური რეჟიმი, პოლიციეშიჩინა
азефовщина	— აზეფოვშიჩინა
богдановщина	— ბოგდანოვშიჩინა
гапоновщина	— გაპონოვშიჩინა
гвоздевщина	— გვოზდევშიჩინა
гетманщина	— გეტმანშიჩინა
деникинщина	— დენიკინშიჩინა
зубатовщина	— ზუბატოვშიჩინა ⁷
керенщина	— კერენშიჩინა
колчаковщина	— კოლჩაკოვშიჩინა
корниловщина	— კორნილოვშიჩინა
красновщина	— კრასნოვშიჩინა
мартыновщина	— მარტინოვშიჩინა
махиовщина	— მახნოვშიჩინა
махаевщина	— მახაევშიჩინა
мясниковщина	— მიასნიკოვშიჩინა
николаевщина	— ნიკოლაევშიჩინა
петлюровщина	— პეტლიუროვშიჩინა
пугачевщина	— პუგაჩოვშიჩინა
разинщина	— რაზინშიჩინა
савинковщина	— სავინკოვშიჩინა
скоропадщина	— სკოროპადჩინა
хованщина	— ხოვანშიჩინა და მისთ.

⁷ ზოგიერთ რუსულ-ქართულ ლექსიკონში არსებული „პოლიციური სოციალიზმი“ განმარტება უფროა, ვიდრე თარგმანი. ამის საილუსტრაციოდ ერთი მაგალითიც კმარა. ე. ი. ლენინს აქვს ასეთი გამოთქმა: „Пролетариат порвал рамки полицейской зубатовщины“ (Соч. 4, т. VII, стр. 120). ამ წინადადებაში რომ სათარგმნელად პოლიციური სოციალიზმი ვიხმაროთ, ტავტოლოგია გამოვა.

3. **-щин(а)** სუფიქსის შემცველი სახელების ერთი ჯგუფი, წარმოქმნილი საზოგადო სახელებიდან, ქართულად გადმოიცემა **-ობანა// -ობია** სუფიქსების მეშვეობით.

-ობანა (||-ობია). როგორც ცნობილია, იხმარება უმთავრესად სხვადასხვა თამაშობათა სახელების საწარმოებლად. მაგ., **დამალობანა, მოობანა, კატათავობანა** და მისთ. არასათამაშოების ამსახველ სახელებში ამ სუფიქსს აგდებითი, კითხვითი, საერთოდ არასერიოზულობის სტილისტიკური ნიუანსი შეაქვს. მაგ.: **ШТУРМОВЩИНА** (არაგეგმაზომიერი, არარიტმული მუშაობა) ითარგმნება, როგორც **იერიშობანა, кружковщина — წრეობანა, митинговщина — მიტინგობანა, канцелярщина — კანცელარიულობანა**⁸. ასევე შეიძლება ითარგმნოს: **литературщина — ლიტერატურულობანა**⁹, **сентиментальщина — სანტიმენტალურობა, постепеновщина — თანდათანობითობანა, формальщина — ფორმალურობანა, повседневшина — ყოველდღიურობანა** (ზღრ. აგრეთვე **-ობანა** სუფიქსით წარმოებული „ერთიანობანა“ და „თვითგამორკვეობანა“).

შედარებით იშვიათია **-ობია** სუფიქსის გამოყენება: **поножовщина** (და საუბრული **ножовщина**) **დანობია, ხანჯლობია** (დანების, ხანჯლების ტრიალი).

4. ერთი წყება **-щин(а)** სუფიქსის შემცველი სახელებისა დაკავშირებულია შრომის, მუშაობის გარკვეულ წესთან. ზოგი ამ სახელთაგანი ბატონყმობის დროსაა შექმნილი და ფეოდალურ ურთიერთობას გამოხატავს. ასეთებია: **барщина, боярщина, издольщина, испольщина, панщина, поденщина, сдельщина; сдельщина** და **поденщина** სახელებში დაჩრდილული ჩანს **-щин(а)** სუფიქსისათვის დამახასიათებელი ნეგატიური ნიუანსი.

ამ ჯგუფის სახელების თარგმნას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. მათ ასე გადმოსცემენ: **барщина — საბატონო ბეგარა; боярщина** ერთ-ერთი მნიშვნელობით იგივეა, რაც **барщина** და მისებრვე ითარგმნება; **издольщина — საზიარობა, მოზიარობა; испольщина — მონახევრობა; панщина — საბატონო ბეგარა**¹⁰; **поденщина**

⁸ პრესაში ზოგჯერ „კანცელარშინასაც“ ხმარობენ, რაც გამართლებულად არ გვეჩვენება.

⁹ თუმცა პრესაში „ლიტერატურშინაც“ გვხვდება ხოლმე.

¹⁰ ე. ი. იგივეა, რაც **барщина**. იხმარებოდა ძველ პოლონეთსა და ლიტვაში, აგრეთვე რევოლუციამდელ უკრაინასა და ბელორუსიაში.

на — დღიური მუშაობა, მედღეურობა; сдельщина — ნარდად მუშაობა, მენარდობა.

5. -щин(а) სუფიქსით ნაწარმოებია აგრეთვე ადამიანთა გარკვეული ჯგუფების აღმნიშვნელი სახელები, როგორცაა: белогвардейщина, интеллигентщина, офицерщина, эсеровщина და მისთ. მათ, რა თქმა უნდა, აშკარა კიცხვითი ნიუანსი აქვთ.

ამგვარი სახელების გადმოსაცემად გამოყენებულია -ობა სუფიქსი ან სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმა: белогвардейщина — თეთრგვარდიელობა, თეთრგვარდიელები; интеллигентщина — ინტელიგენტობა, ინტელიგენტები¹¹; офицерщина — ოფიცრობა, ოფიცრები (შეუძლებლად არ გვეჩვენება ოფიცერშინაც); эсеровщина — ესერობა, ესერები.

6. -щин(а) სუფიქსის შემცველი სახელების ერთი ჯგუფი ასახავს საზოგადოებრივ თუ საყოფაცხოვრებო მოვლენას. ამ ჯგუფის სახელების ქართულად გადმოცემა -ობა, -ურობა// -ულობა სუფიქსების გამოყენებით ხდება. მაგ.:

азнатчина	— აზიელობა, აზიურობა
беспоповщина	— უმღვდელობა
бестолковщина	— უთავბოლოობა, უაზრობა
групповщина	— ჯგუფურობა
дьявольщина	— ჯანდაბა, ოხრობა
иноземщина	} — უცხოურობა
иностранщина	
казенщина	— ფორმალურობა, უსულგულობა, „კაზნიონურობა“
кампанейщина	— კამპანიურობა
кустарщина	— კუსტარულობა
нелегальщина	— არალეგალურობა; არალეგალური ლიტერატურა
обывательщина	— ობივატელობა
партизанщина	— პარტიზანულობა
патриархальщина	— პატრიარქალურობა
поповщина	— ხუცობა
солдатчина	— სალდათობა
стихийщина	— სტიქიურობა

¹¹ უხმარიათ ინტელიგენტშინაც (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 149).

татарщина	— თათრობა (შდრ. არაბობა: „არაბობა საქართველოში“)
театральщина	— თეატრალურობა
трехпольщина	— სამმინდვრიანობა
халтурщина	— ხალტურულობა, მოხალტურეობა
цеховщина	— (ამქრული) კარჩაკეტილობა, შეზღუდულობა
чертовщина	— ჯანდაბა, ოხრობა...

უნდა ითქვას, რომ **-ობა** (-ურობა//**-ულობა**) სუფიქსს არ გააჩნია ის ნეგატიური ნიუანსი, რაც **-щин(а)**-ს ახასიათებს. ამიტომ აქ მოყვანილი სიტყვების თარგმანებს სიზუსტის პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეს. **-ობა** სუფიქსს რუსული **-ство** და **-ость** სუფიქსები უფრო შეესატყვისება, ვიდრე **-щин(а)**. ასე რომ, **სტიქიურობა**, **პატრიარქალურობა...** რუსულად **стихийность**, **патриархальность** უფრო იქნება, ვინემ **стихийщина**, **патриархальщина**.

7. **-щин(а)** სუფიქსიანი სახელების ერთი ნაწილის ქართულად გადმოსაცემად გამოყენებულია შინაარსობრივი თარგმანი, ე. ი. იხმარება სათანადო ქართული შესატყვისები. მაგალითები: **деревенщина** — ტეტოა, გაგრია, გაურანდავი, გაუთლელი (კაცი); **даровщина**, **дармовщина** — მუქთი, მუქთად ნაშოვნი; **складчина** — წილგროვება, ფსონი; **военщина** — მხედრიონი, მხედრობა; **неметчина** — გერმანელთა ქვეყანა, გერმანია, გერმანულობა; **антисоветчина** — ანტისაბჭოლური მონაჭორები, ანტისაბჭოლური ლიტერატურა; **бульварщина** — ბულვარული ლიტერატურა; **похабщина**, **матерщина** — უშვერი ლაპარაკი, უწმანურობა, სიბილწე, უწმანური ლანძღვა-გინება; **уголовщина** — 1) სისხლის სამართლის დანაშაულობა, 2) სისხლის სამართლის დამნაშავენი...

8. ერთი მცირე ჯგუფი **-щин(а)** სუფიქსით ნაწარმოები სახელებისა გვხვდება სასაუბრო მეტყველებაში და რუსული ენის დიალექტებში. წარმოებულია ზმნური (ძველი მიმდებური) ფუძიდან: **видать—видал—видальщина**; **бывать—бывал—бывальщина**; **невидальщина**, **небывальщина**, **заедальщина** და მისთ. თარგმანი სხვადასხვაგვარია (შინაარსისდა მიხედვით): **бывальщина** — ძველი ამბავი, ნამდვილი ამბავი; **თქმულება**; **небывальщина** — მონაგონი, ჩმახი, ზღაპარი; **невидалщина** — არნახული ამბავი, იშვიათი ამბავი; **видальщина** — ჩვეულებრივი ამბავი, ჩვეულებ-

რივი მოვლენა; მრავალჯერ ნანახი; заедальщина — არმად ნაშოვ-
ნი, არმად მოპოვებული.

9. და ბოლოს, -**щин(а)** სუფიქსით იწარმოება გეოგრაფიული სახელები, როგორც სასაუბრო, არაოფიციალური სახელწოდებარუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის ზოგიერთი ოლქის (იშვიათად რაიონებისა და მხარეების) ტერიტორიისა¹². მაგალითად: Полтавская область — Полтавщина; Ставропольский край — Ставропольщина; Мелитопольский район — Мелитопольщина. ანალოგიურად ნაწარმოებია Брянщина, Владимирщина, Киевщина, Николаевщина, Новгородщина, Орловщина, Смоленщина, Черниговщина და მრავალი სხვ. შდრ. აგრეთვე მდინარე Дон-იდან ნაწარმოები Донщина და ეთნონიმ გუცულ-იდან წარმოქმნილი Гуцульщина¹³.

გეოგრაფიულ სახელებში -**щин(а)** სუფიქსს, ცხადია, ნეგატიური სტილისტიკური ნიუანსი არ გააჩნია.

ამ თავისებურ გეოგრაფიულ სახელებს ქართულად, ჩვეულებრივ, უცვლელად გადმოსცემენ: **სმოლენშჩინა**, **ჩერნიგოვშჩინა**, **ბრიანშჩინა** და ა. შ.

თავისებური თარგმანი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ Гуцульщина-ს. იგი ქართულად შესაძლოა ითარგმნოს როგორც საგუცულო (შდრ. **საინგილო**, **სამეგრელო** და მისთ.), თუმცა **გუცულშჩინას** ხმარებასაც არაფერი უნდა უშლიდეს ხელს.

¹² რსფსრ ტერიტორიაზე უმთავრესად ევროპული ნაწილის დასავლეთსა და ცენტრალურ რაიონებში.

¹³ აღსანიშნავია, რომ იმავე არეალში (ე. ი. უკრაინის, ბელორუსიისა და მათ მიმდებარე რუსეთის ოლქებში) **-щин(а)** სუფიქსი ტოპონიმიაშიც ვეხვდება (დასახლებული პუნქტების სახელწოდებებში), მაგ.: **Духовщина** — ქალაქი სმოლენსკის ოლქში; **Монастырщина** — ქალაქის ტიპის დაბა იმავე ოლქში; **Козельщина** — ქალაქის ტიპის დაბა პოლტავის ოლქში; **Козловщина** — დაბა გროდნოს ოლქში; **Сахновщина** — დაბა ხარკოვის ოლქში; **Шарковщина** — დაბა ვიტბსკის ოლქში.